

ବ୍ୟାଙ୍ଗ
NONFICTION

ପୁନଃ
କାଶ୍ତେବାଦ
ପିଣଡି

କ୍ଷେତ୍ରପଦ୍ଧତିର
ଲା ଅଧିକିମିଳିବା

კარლ გუსტავ იუნგი
ფსიქოლოგია და ალქიმია

C.G. Jung
PSYCHOLOGIE UND ALCHEMIE
(The full contents of Collected Works Volume 12)

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ
სამეცნიერო რედაქტორი მარინა ელბაქიძე

© 1972 Walter Verlag AG, Olten
© 2007 Foundation of the Works of C. G. Jung, Zürich
Alle Rechte vorbehalten.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2005, 2023
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-780-0

www.diogene.ge

სარჩევი

ნინასიტყვაობა	7
I. ალქიმიის რელიგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემების შესავალი.....	9
II. ინდივიდუაციის პროცესის სიზმრის სიმბოლოები.....	53
1. შესავალი.....	55
მასალა	55
მეთოდი.....	57
2. თავდაპირველი სიზმრები.....	62
3. მანდალას სიმბოლიკა.....	117
მანდალას შესახებ.....	117
მანდალები სიზმრებში	127
სამყაროს კოსმიური საათის ხილვა.....	243
თვითობის სიმბოლოს შესახებ	258
III. ალქიმიური წარმოდგენები ხსნის შესახებ	269
1. ალქიმიის ძირითადი ცნებები	271
შესავალი.....	271
ალქიმიური პროცესის ფაზები	273
მიზნის კონცეფცია და მისი სიმბოლოები	277
2. ალქიმიის ფსიქიური ბუნება	289
ფსიქიური შინაარსის პროექცია	289
მენტალური დამოკიდებულება OPUS-თან	304
მედიტაცია და წარმოსახვა	327
სული და სხეული	335
3. საქმე	342
მეთოდი.....	342
სული მატერიალი	351
ხსნა.....	363
4. MATERIA PRIMA	375
მატერიის სინონიმები.....	375
Increatum	379
ყველგან მყოფი და სრულქმნილი.....	382

მეფე და მეფისნული	386
მითი გმირზე.....	393
დაფარული საუნჯე	400
5. ლაპის-ქრისტეს პარალელები.....	406
სიცოცხლის განახლება	406
რელიგიური განმარტებანი.....	418
რამუნდუს ლულიუსი.....	418
„Tractatus aureus“	420
ზოსიმე და მოძღვრება ანთროპოსის შესახებ	422
პეტრე ბონუსი	438
„AURORA CONSURGENS“ და მოძღვრება სიბრძნის შესახებ	441
მელქიორ სიბინელი და მესის ალქიმიური პარაფრაზი	465
ჯორჯ რიბლი.....	477
ეპიგრანები	495
6. ალქიმიური სიმბოლიკა რელიგიის ისტორიაში	507
არაცნობიერი, როგორც სიმბოლოს მასაზრდოებელი ნიადაგი.....	507
მარტორქის მოტივი, როგორც პარადიგმა.....	510
მარტორქის მოტივი ალქიმიაში.....	510
მარტორქა და ქრისტიანული ალეგორია	515
მარტორქა გნოსტიციზმში.....	526
ერთორქიანი სკარაბეუსი.....	529
მარტორქა ვედებში	531
მარტორქა სპარსეთში.....	534
მარტორქა ეპრაულ ტრადიციაში	539
მარტორქა ჩინეთში	545
მარტორქის თასი	546
ეპილოგი.....	555
დანართი.....	569
ილუსტრაციების სია	571
ბიბლიოგრაფია.....	583

ნინასიტყვაობა

ჩემი თხზულებების ადრე გამოცემულ მე-5 ტომში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ნარკევები ერანოსის კონფერენციაზე წაკითხულ ლექციათა ციკლის საფუძველზე შეიქმნა და პირველად 1935-36 წლებში „ერანოსის ალმანახში“ გამოქვეყნდა. წინამდებარე გამოცემა გვთავაზობს ტექსტის გაუმჯობესებულ და ვრცელ ვარიანტს, განსახილველი თემის დეტალური ანალიზით, რომელსაც დართული აქვს მდიდარი საილუსტრაციო მასალა. ტიპოლოგიური თვალსაზრისით სიმბოლური სურათები ალქიმიური აზროვნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რაც აბსოლუტურად ამართლებს საილუსტრაციო მასალის სიუხვეს. ალქიმიკოსმა სურათებით გამოხატა ის, რის წინაშეც დაწერილი სიტყვა ნაკლული და ხშირად უძლურიც აღმოჩნდა. სურათების ენა, თავის მხრივ, თავისებურია, მაგრამ ხშირ შემთხვევებში ბევრად უფრო მკაფიო, ვიდრე ფილოსოფიურ ცნებათა მოუქნელი ენა. პროფესიონალისთვის თვალში საცემია ის ფორმობრივი და შინაარსობრივი კავშირი, რომელიც ამ სურათებსა და ფსიქიური მეურნალობის დროს პაციენტთა მიერ სპონტანურად წარმოქმნილ პროდუქციებს შორის არსებობს.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ფილოლოგის დოქტორის, ქ-ნ მ. ლ. ფრანცის თანადგომა, რომელიც მან დაზიანებული და რთულად გასაგები ზოსიმეს ტექსტების თარგმნისას გამინია. დიდი მადლობა ქ-ნ შერთს თალმუდურ ლიტერატურაში ოგისა და მარტორქის ლეგენდაზე მითითებისთვის და ქ-ნ ფრიობე-კაპტეინს ალქიმიური სურათების ასლების გადაღებაში განეული სამსახურისთვის. გულწრფელი მადლიერებით მოვიხსენიებ ფილოლოგის დოქტორ ქ-ნ ი. იაკობის საილუსტრაციო მასალის შედგენისა და მისი დასახეჭდად მომზადებისთვის.

კ. გ. იუნგი
კუსნახტი, 1943 წ. იანვარი




ნახ. 1. შემოქმედი – სამ და ოთხ ნაწილად დაყოფილი კოსმოსის (როხი ელე-
მენტის) მბრძანებელი. წყალი და ცეცხლი ზეცის საპირისპირო მხარეს ნარ-
მოადგენს. *Liber patris sapientiae: Theatrum chemicum Britannicum* (1652)

|

ალქიმის
რელიგიურ-ფსიქოლოგიური
პროცესების შესავალი

ლელნამი განტეხილი არა შემუსროს და
პატრუკი მკუმოლვარე არა დაშრიტოს.
ესაია, 42,3



ნახ. 2. ორი ალქიმიკოსი მუხლმოყრით ალქიმიურ ღუმელთან ღმერთს წყალობას შესთხოვს. *Mutus liber* (1702)

ანალიზური ფსიქოლოგიის პრობლემებში გარკვეული მკითხველი, ცხადია, არ საჭიროებს რაიმე სახის კომენტარს. მათთვის კი, ვისაც წინამდებარე კვლევის საგანთან პროფესიული ინტერესები არ აკავშირებს და წიგნს მოუმზადებლად ჰკიდებს ხელს, ზოგიერთი საკითხის განმარტების მიზნით წინასიტყვაობის წამძღვარება აუცილებლად მიმაჩნია. ინდივიდუაციის პროცესი და ალქიმია ორი შორიშორს მდებარე ფენომენია და, ალბათ, მათ შორის წარმოსახვითი ხიდის გადებაც ძნელია. სწორედ ამგვარი მკითხველის წინაშე ვგრძნობ თავს ვაღდებულად, რადგან უკვე ის დაბნეულობაც გამოვცადე, რაც ჩემი ლექციების ციკლის გამოქვეყნებამ ოპონენტებში გამოიწვია.

რაც ფსიქეს შესახებ მინდა გაგიზიაროთ, პირველ რიგში ადა-
მიანზე ჩემი დაკვირვებების შედეგია. მსაყვედურობენ, თითქოს
ჩემი დაკვირვებები უცნობ და, ამდენად, ძნელად გასაგებ გამოც-
დილებას გულისხმობს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემში დიდ გაოცე-
ბას იწვევს ის ფაქტი, რასაც ყოველთვის ვაწყდები. ყველა, თვით
არაკვალიფიციური დილეტანტიც კი, დარწმუნებულია, რომ ფსი-
ქოლოგიაში ერკვევა; თითქოს ფსიქე სწორედ ის სფერო იყოს, რა-
შიც ასე ადვილად შეიძლება გარკვევა. მხოლოდ ის, ვისაც ჭეშმა-
რიტად ჩაუხედავს ადამიანის ფსიქეს სიღრმეებში, დამეთანხმება,
რომ ფსიქე ყველაზე ბუნდოვანი და საიდუმლოებით მოცული სფე-
როა, მისი შემეცნებისკენ სავალი გზა კი – უსასრულო. ჩემს პრაქ-
ტიკაში არ ჩაულია დღეს, რაიმე ახალს და მოულოდნელს რომ
არ გადავყროდი. ცხადია, ბანალურ, ზედაპირულ მოვლენებს არ
ვგულისხმობ, რომლებიც ამ სპეციფიკურ სფეროში მოღვაწე ყვე-
ლა ფსიქოთერაპევტისთვის ხელმისაწვდომია. ამიტომ უაზრობად
მიმაჩნია, როცა უცოდინარობის გამო მსაყვედურობენ. იმაზე, რომ
დილეტანტისთვის ბევრი რამ ფსიქოლოგიაში გაუგებარია, პასუხს
ვერ ვაგებ.

ანალიტიკურ პროცესში, ანუ ცნობიერსა და არაცნობიერს შო-
რის დიალექტიკური დისკუსიის დროს ხდება განვითარება, წინ-
სვლა მიზნისკენ, ანუ დასასრულისკენ, რომლის რთულად ამოსაც-
ნობი ბუნება მრავალი წლის მანძილზე ჩემი მოღვაწეობის ძირითა-
დი სფერო გახლდათ. ფსიქიკური კვლევა, შესაძლოა, განვითარე-
ბის წებისმიერ სტადიაზე დასრულდეს და დაგვიტოვოს უკმარისო-
ბის გრძნობა, რომ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ეს პროცესი შეიძლება
დამთავრდეს: 1. კეთილი რჩევის მიღების შემდეგ; 2. აღსარების
შემდეგ; 3. არაცნობიერი, მაგრამ მნიშვნელოვანი შინაარსის გაც-
ნობიერების შემდეგ, რომელიც სასიცოცხლო ან მოქმედების ახალ
იმპულსს ბადებს; 4. ბავშვობის ფსიქესგან გამიჯვნის შემდეგ,
რომელიც ხანგრძლივი მუშაობის შედეგია; 5. რთულ ან უჩვეუ-
ლო გარემო პირობებთან ადაპტაციისთვის რაციონალური, ახალი
სტრატეგიის შემუშავების შემდეგ; 6. ავადმყოფური სიმპტომების

გაქრობის შემდეგ; 7. ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილების შემდეგ. ეს შეიძლება იყოს: გამოცდები, ნიშნობა, ქორნინება, გაყრა, პროფესიის შეცვლა და ა. შ.; 8. აღმსარებლობის შეცვლის ან რელიგიისკენ მიბრუნების შემდეგ; 9. პრაქტიკული ცხოვრებისეული ფილოსოფიის („ფილოსოფია“, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით!) ჩამოყალიბების შემდეგ.

ამ ჩამონათვალს, შესაძლოა, სხვადასხვა ვარიაციები და დანამატები დავურთოთ, თუმცა ეს ნუსხა, საბოლოო ჯამში, მაინც კარგად აღწერს იმ ძირითად სიტუაციებს, როცა ანალიტიკური და, შესაბამისად, ფსიქოთერაპიული პროცესი შესაძლოა დროებით ან, ზოგჯერ, საბოლოოდ დასრულდეს. გამოცდილებამ მიჩვენა, რომ არსებობს დიდი რაოდენობა პაციენტებისა, რომელთათვისაც ექიმთან მუშაობის დასრულება სრულებითაც არ ნიშნავს ანალიტიკური პროცესის დასასრულოს. ისინი კვლავ აგრძელებენ დიალოგს არაცნობიერთან და თანაც ისე, თითქლს ექიმთან ვიზიტი საერთოდ არ შეეწყვიტოთ. ხანდახან ასეთი პაციენტი წლების შემდეგ ქუჩაში შემხვედრია და მისი მეტამორფოზის უჩვეულო ისტორიის მონმე გავმხდარვარ. სწორედ ამგვარმა შემთხვევებმა განმიმტკიცა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფსიქეში არსებობს ფიზიკური პირობებისაგან დამოუკიდებელი პროცესი, რომელიც დასახული მიზნისკენ ისწრაფვის. ეს კი მარწმუნებს, რომ მე არა ვარ არარეალური და, ამდენად, არაბუნებრივი ფსიქიკური პროცესის ერთადერთი მიზეზი. ჩემი შეშფოთება სულაც არ გახლდათ უსაფუძვლო, რადგან ზოგიერთი პაციენტი ზემოთ დასახელებული ცხრა კატეგორიიდან არც ერთს არ აღიარებდა ანალიტიკური მუშაობის დამთავრების არგუმენტად: არც რელიგიური განწყობის შეცვლას და არც ნევროზული სიმპტომების უეცარ გაქრობას. სწორედ ამ ტიპის შემთხვევებმა გახადა ჩემთვის ცხადი, რომ ნევროზის მკურნალობისას ვეხებით პრობლემას, რომელიც სცდება ექიმის კომპეტენციას და მხოლოდ სამედიცინო ცოდნით ვერ აიხსნება.

ფსიქოთერაპიის გაჩენიდან – განვითარების ფსიქიკური პროცესის ფსევდობილოგიური ინტერპრეტაციითა და მისი არად ჩაგ-

დებით – ნახევარი საუკუნე გვაშორებს, მაგრამ ადამიანთა მეხსიერებაში მაინც ცოცხლობს და ვერ ელევიან ისეთ უსიამოვნო ეპითეტებს, როგორიცაა „ცხოვრებისგან გაქცევა“, „გადატანა“, „ავტოროტიზმი“ და ა. შ. ყველა მოვლენას ორი მხარე აქვს. ასე რომ, ნეგატიური შეფასება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ დამტკიცდა, რომ „ჩამოკიდებას“ თან არაფერი პოზიტიური არ ახლავს. ექიმის მოუთმენლობა თავისთავად არაფერს ნიშნავს. მხოლოდ მკვლევართა საარაკო მოთმინებამ შეაძლებინა ახალ მეცნიერებას, ჩაღრმავებოდა ფსიქეს არსს და მოულოდნელ თერაპიულ რეზულტატებსაც მხოლოდ ექიმის თავგანწირულ შრომასა და ამტკანობას უნდა ვუმაღლოდეთ. უსაფუძვლო ნეგატიური მოსაზრება ადვილად იქმნება და თანაც, შესაძლოა, დამღუბველიც იყოს. ნაუცხბათევი მოსაზრება, შესაძლოა, უვიცობასაც მაღავდეს ან აუცილებელი დისკუსიისთვის თავის არიდების მცდელობაც იყოს, რადგან ანალიტიკური მუშაობის დროს, ადრე თუ გვიან, გარდაუვალი ხდება დისკუსია მე-სა და შენ-ს, ან შენ-სა და მე-ს შორის – დიალოგი, რომელიც სულ სხვა სიბრტყეზე უნდა წარიმართოს, და რომელიც შესაძლოა ექიმსაც შეეხოს და მანაც საკუთარ ტყავზე გამოსცადოს. ვისაც ცეცხლთან და შხამთან აქვს საქმე, მის ზემოქმედებას მგრძნობიარე ადგილს ვერ აარიდებს. ნამდვილი ექიმი სადღაც გვერდით კი არ დგას, არამედ ამ პრობლემების შუაგულში, მათ ცენტრშია.

„ჩამოკიდება“, შესაძლოა, ორივე მხარისთვის არასასურველი, გაუგებარი და აუტანელიც იყოს. აუცილებელი არ არის, „hanging on“ ნეგატიურ როლს ასრულებდეს, პირიქით, ის შესაძლოა პოზიტიურადაც შევაფასოთ, რომელიც, ერთი მხრივ, გადაულახავ ბარიერს ქმნის, მეორე მხრივ კი, სწორედ იმიტომ წარმოადგენს უნიკალურ სიტუაციას, რომ დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ადამიანის აქტივობას ზრდის. შეიძლება ასეც გვეთქვა: პაციენტი გაუცნობიერებლად და ჯიუტად ეძებს გადაუჭრელი პრობლემის გადაჭრის გზებს, ექიმი კი თავისი ოსტატობითა და ტექნიკით მას

ამ გზაზე ეხმარება. „Ars totum requirit hominem!“¹ – ეს ფრაზა ძველ ალქიმიკოსს ეკუთვნის. ეს სწორედ ის „homo totus“-ია („მთლიანი ადამიანი“), რომელსაც ადამიანი ეძებს. ექიმის ძალისხმევა და პაციენტის ძიება იმ ფარული, „მთლიანი“ ადამიანისკენ ლტოლვაა, რომლის მანიფესტაციაც მომავლის საქმეა. გზა მთლიანობისკენ საბედისნეროა, ოლროჩოლრო და ცდომილებებით სავსე. ეს არის „longissima via“ („უგრძესი გზა“), დაპირისპირებულ მხარეთა გამართიანებელი გზა, ბილიკი, რომლის ლაბირინთისებრი კლავნილები გვაძრნუნებს. სწორედ ამ გზით ვიძენთ იმ გამოცდილებას, „ძნელად ხელმისაწვდომს“ რომ უნიდებენ. მისი მიუწვდომლობა მის ძნელად მოპოვებაშია. ასეთი გამოცდილება მოითხოვს იმას, რაც ყველაზე მეტად გვაშინებს – მთლიანობას. ეს სიტყვა სულ პირზე გვაკერია, მის შესახებ კი მხოლოდ თეორიულად ვმსჯელობთ, შორიდან უუვლით და ახლოს არ ვეკარებით.² რამდენად უფრო კომფორტულია ტრადიციული ფსიქოლოგია, როცა ერთმა ხელმა მეორისა არაფერი იცის.

ვფიქრობ, ევროპაში არსებული მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობა ევროპელის ფსიქოლოგიურ აღზრდას ეკისრება და არა მხოლოდ არაცნობიერსა და ინდივიდის უძლურებას. აღმზრდელობითი საკითხები რელიგიის არსია, მისი საფუძველია, რადგან დანარჩენი რაციონალური სისტემებისგან განსხვავებით ის ერთადერთია, რომელიც თანაბრად ეხება ადამიანის როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ მხარეს. როცა საკუთარი ნაკლოვანების გამართლება გვსურს, ქრისტიანობას გვაყვედურობთ ხოლმე და ჩამორჩენილობაში ვდებთ ბრალს. არ მინდა, თავი მოვიტყუო და დანაშაული სხვა მიზეზებს მივაწერო და არა ადამიანის უხეირობას.

¹ „ხელოვნება ადამიანს მთლიანად ითხოვს!“ (აქ და შემდეგ ლათინურიდან თარგმნა თინა (ცერაძემ).)

² ნიშანდობლივია, რომ პროტესტანტი თეოლოგი თავის ნაშრომში პომილეტიკის შესახებ სითამამეს იჩენს და, ეთიკური პოზიციიდან გამომდინარე, მქადაგებელს მთლიანობას სთხოვს. საკუთარი არგუმენტების დასამტკიცებლად იგი ჩემს „ფსიქოლოგიას“ ეყრდნობა (HANDLER, die Predigt).

ამ უხეირობაში ქრისტიანობის ფარული სიღრმეების გააზრებას კი არ ვგულისხმობ, არამედ მის ზედაპირულ გაგებას, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა თანამედროვე ადამიანისთვის. ეს კი ყველასთვის თვალნათელია. მოთხოვნას, რომელსაც „imitatio Christi“ აყენებს, ანუ ქრისტესთან მიახლოებას, მის მიბაძვას, თითქოს ადამიანი სულიერად უნდა განვითარებინა და აემაღლებინა. სინამდვილეში კი ზედაპირულად, ფორმალურად მოაზროვნე მორწმუნებ ქრისტეს იდეალი საკულტო ობიექტად აქცია და სწორედ ქრისტეს, როგორც ობიექტის, თაყვანისცემამ შეუშალა მას ხელი, სწვდომოდა ფსიქეს სიღრმეებს და მისთვის მთლიანობა მიენიჭებინა. ასე რომ, ღვთაებრივი შუამავალი სადღაც გარეთ აღმოჩნდა, ადამიანი კი – რაღაცის ფრაგმენტი, რომლის ფარულ სიღრმეებსაც ვერაფერი შეეხო. კი ბატონო, შესაძლებელია, ქრისტეს მივბაძოთ, მაგრამ იმიტატორი იდეალთან, მის ნამდვილ აზრთან მიახლოებასაც კი ვერ შეძლებს. მთავარი მიბაძვა კი არ არის, რომელიც ადამიანში მეტამორფოზას არ იწვევს და მას უბრალო იმიტატორს ხდის, არამედ საკუთარი გზებით – Deo concedente („ღვთის შემწეობით“) – ინდივიდუალურ ცხოვრებაში ამ იდეალის რეალიზაციაა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თუნდაც მცდარად გაგებული მიბაძვა დიდ მორალურ ძალისხმევას მოითხოვს. ეს არ გახლავთ გზა, რითაც საკუთრივ მიზანი მიღწევა, მაგრამ თავისი, თუნდაც გარეგნულად გამოხატული, ერთგულებით მაინც ღირებულია. მორალური ენერგიის ტოტალური მობილიზების ხარჯზე ადამიანი ნამიერად გრძნობს საკუთარ მთლიანობას და თან ღვთაებრივი წყალობის შეგრძნებაც ეუფლება; ამგვარი შეგრძნება კი მსგავს მოვლენას ყოველთვის თან ახლავს.

ქრისტეს „imitatio“-ს იდეის ყალბ გაგებას ევროპული ცრურწმენაც ემატება, რითაც დასავლური პოზიცია ასე განსხვავდება აღმოსავლურისგან. ევროპელს „ათასობით საგნის“ ხიბლი ატყვევებს. ის მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს ხედავს; საკუთარ ეგოსთან და საგნებთან ისეა მიბმული, რომ ყოფიერების უღრმეს ფესვებზე ნარმოდგენაც კი აღარ აქვს. აღმოსავლელი კი ცალკეული ნაწილები

ბისგან შემდგარი სამყაროს მთლიანობას აღიქვამს, საკუთარ ეგოს სიზმარივით განიცდის, ფესვები პირველადს მიზეზებში აქვს ჩაზრდილი, რაც მას ჩვენთვის გაუგებარი ძალით იზიდავს. ევროპული პოზიცია, რომელიც ობიექტზე აკეთებს აქცენტს, ქრისტეს „იდეალის“ მხოლოდ საგნობრივ ასპექტს აფიქსირებს და მას სულიერ ადამიანთან მისტიკური დამოკიდებულებისგან ძარცვავს. სწორედ ეს ცრურნენა გახლდათ მიზეზი, რამაც პროტესტანტ ინტერპრეტატორს „თქვენ შორის“ და არა „თქვენში“ ათქმევინა, როდესაც იგი ენტც სუმოს-ს თარგმნიდა. არ ვაპირებ ევროპული პოზიციის დასაბუთებულობაზე საუბარს, მის სიმართლეში ისედაც საკმარისად დარწმუნებულები ვართ. მაგრამ როდესაც აღმოსავლურ პოზიციას ვეცნობით – ფსიქოლოგი ასეც უნდა მოიქცეს, – დასავლური პოზიციის მიმართ ბევრი ეჭვნარევი კითხვა გვიჩნდება. კი ბატონო, ვისაც როგორ სურს, ისე გადაწყვიტოს; ისე მოიქცეს, როგორც სინდისი უკარნახებს; თუ უნდა, თავი სამყაროს მხსნელად წარმოიდგინოს. მე კი დაეჭვებას ვამჯობინებ, რადგან იგი გრანდიოზულ მოვლენებს არ ბლალავს.

ქრისტე, როგორც იდეალი, სამყაროს ცოდვათა მზიდველია. თუ იდეალი გარეთაა, მაშინ ინდივიდის ცოდვებიც გარეთაა, თავად კი მხოლოდ ფრაგმენტია. ქრისტეს, როგორც იდეალის, ზედაპირული, არასწორი გაგება მეტისმეტად მოსახერხებელია, რადგან შეიძლება საკუთარი ცოდვები „მას ავკიდოთ“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ამ გზით შინაგან პასუხისმგებლობას გავექცეთ, რაც ქრისტიანობის არსთან სრულ წინააღმდეგობაშია. მსგავსი ფორმალიზმი და სიზანტე არა მარტო რეფორმაციის პირველადი მიზეზი გახდა, მას პროტესტანტიზმის წიაღშიც ვპოულობთ. თუ ყველაზე დიდი ღირებულება (ქრისტე) და მისი უარყოფა (ცოდვა) გარეთაა, მაშ, სულიც ცარიელი ყოფილა და სიღრმე და სიმაღლე ჰქონდებია. აღმოსავლური პოზიცია (განსაკუთრებით, ინდური) სრულიად საპირისპიროა. ყველაფერი, სიმაღლეც და სიღრმეც (ტრანსცენდენტურ) სუბიექტშია, შესაბამისად, განუზომლად იზრდება „ātman“-ის – თვითობის – მნიშვნელობაც. ევრო-

პელისთვის თვითობის მნიშვნელობა ნულამდე დავიდა და სულის მნიშვნელობაც ამიტომ გაუფასურდა. მას, ვინც სულის რეალობაზე საუბრობს, „ფსიქოლოგიზმში“ სდებენ ბრალს. ფსიქოლოგიაზე ისეთი ტონით ლაპარაკობენ, თითქოს ის მხოლოდ ფსიქოლოგია იყოს და სხვა არაფერი. მოსაზრება, რომ არსებობს ღვთაებრივი სახე-ხატების შესატყვისი ფსიქიური ფაქტორები, ამ სახე-ხატების პროფანაციის მცდელობად არის მიჩნეული. იმის დაშვება, რომ რელიგიური განცდა ფსიქიური პროცესია, ასევე მკრებელობად არის შერაცხული, რადგან ამგვარი განცდა, როგორც ამტკიცებენ, „არა მარტო ფსიქოლოგიურია“. მიაჩნიათ, რომ ფსიქიური მხოლოდ ბუნებაა და ამიტომ მისგან რელიგიური გრძნობა ვერ დაიბადება, თუმცა ყველა რელიგიაში – საკუთარის გამოყენებით – აღიარებენ ფსიქიურ ბუნებას. სიმპტომატურია, რომ ჩემი წიგნის „ფსიქოლოგიისა და რელიგიის“ ორივე რეცენზენტმა – ერთი მათგანი კათოლიკე იყო, მეორე კი პროტესტანტი – ჯიუტად აარიდა თვალი რელიგიური ფენომენის ფსიქიური წარმოშობის მტკიცებულებას.

მსგავს ფაქტებთან შეჯახებისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა: საიდან შეიძლება ფსიქეს შესახებ ამდენი იცოდე, რომ ფსიქეზე, როგორც „მხოლოდ რაღაცის შემადგენელ ნაწილზე“, ისაუბრო? ასე ფიქრობს და მეტყველებს ევროპელი, რომლის სულიც, აშკარად, „ულირსია“. სულში რამე რომ ჰქონდეს, ხომ უფრო მოკრძალებით ილაპარაკებდა მის შესახებ. რადგან ის ასე არ იქცევა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასში არც არაფერია ღირებული. ცხადია, ეს ყველას არ ეხება, არამედ იმათ, ვისაც სული დასცარიელებია და ვისთვისაც „ღმერთი გარეთაა“ (ასეთებს ხანდახან მაისტერ ეკვარტის კითხვა არ აწყენდათ).

მხოლოდ რელიგიური პროექცია სულს ღირებულებას ართმევს. გამოფიტული სული განვითარების უნარს კარგავს და არაცნობიერ მდგომარეობაში ვარდება. ამასთან, მას ექმნება ილუზია, რომ ყველა უბედურების მიზეზი მის გარეთაა და ერთი წუთითაც კი არ ფიქრდება, თავად ვინდაა. ასეთი ადამიანისთვის სული იმდენად

უმნიშვნელოა, რომ მას ვეღარც ბოროტებას მიაწერს, სიკეთეზე რომ ალარაფერი ვთქვათ. თუ სული ალარაფერში მონაწილეობს, მაშ რელიგია მოჩვენებითი, ფორმალური მოვლენა ყოფილა და სხვა არაფერი. როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ ღმერთისა და ადამიანის დამოკიდებულება, ერთი რამ ცხადია: სული არ შეიძლება იყოს „მხოლოდ“: მას აქვს ღირსება, რათა ღმერთთან ცნობიერი დამოკიდებულება ჰქონდეს, თუნდაც ეს დამოკიდებულება წვეთის ზღვასთან კავშირს ჰგავდეს. მრავალი წვეთი რომ არა, ზღვაც ხომ არ იარსებებდა. სულის უკვდავების შესახებ დოგმა მას (სულს) მოკვდავ ადამიანზე მაღლა აყენებს და ზებუნებრივი მოვლენის მონაწილეს ხდის. თავისი მნიშვნელობით იგი აღემატება წარმავალი ადამიანის ცნობიერებას. ასე რომ, ქრისტიანს ეკრძალება სულის, როგორც „მხოლოდ რაღაცის შემადგენელი ნაწილის“, აღქმა.³ სული ღმერთის ისეთივე შესატყვისია, როგორიც თვალი – მზისა. ცნობიერებას არ ძალუდს სულის შემეცნება, ამიტომ სასაცილოა სულზე შემწყნარებლური, უგულებელმყოფელი ტონით საუბარი. უფლის ფარული გზა ღრმად მორნმუნე ქრისტიანისთვისაც უცნობია და მისი ნებაა, სულის მეოხებით ადამიანზე გარედან იმოქმედებს თუ შიგნიდან. ის, რომ არსებობს „*somnia a Deo missa*“ (ღმერთის გამოგზავნილი სიზმრები) და სულის გაბრჩყინება, რომელიც ფიზიკური მიზეზებით არ აიხსნება, მორნმუნეში შიშს არ უნდა იწვევდეს. მკრეხელობაა ამტკიცო, რომ ღმერთი ყველგანაა და არა მაინცდამაინც სულში. ღმერთთან სულის იდუმალი დამოკიდებულება საფუძველშივე გამორიცხავს მის უფასურობას.⁴ იქნებ მეტისმეტი გაბეჭდულებაა ღმერთთან სულის ასეთ სიახლოვეზე საუბარი, მაგრამ ღმერთთან კავშირის უნარი, ანუ მასთან შესაბა-

³ ღმერთის ხატის მიხედვით ადამიანის შექმნის შესახებ დოგმამ დიდი გავლენა იქნია ნებისმიერი ადამიანური ფაქტორის შეფასებაში, რომ ალარაფერი ვთქვათ ღმერთის ინკარნაციის თაობაზე.

⁴ ის, რომ სულს, შესაძლოა, ეშმაკიც დაეპატრონოს, სულის მნიშვნელობას იოტისოდენადაც კი არ ამცირებს.

მისობა, სულს ყოველთვის უნდა ჰქონდეს.⁵ ფსიქოლოგიურ ენაზე ამ შესაბამისობას ღმერთის სახე-ხატის არქეტიპი ჰქვია.

ყოველ არქეტიპს უსასრულო განვითარებისა და დიფერენციაციის უნარი აქვს. შესაძლოა, რომელიმე მათგანი მეტად ან ნაკლებად იყოს განვითარებული. რელიგიის გარეგნულ ფორმაში, სადაც აქცენტი გარეგნულ მხარეზე კეთდება, არქეტიპი ამ კონკრეტული ფორმით გამოხატული იდეის იდენტურია, თუმცა ფსიქიური ფაქტორი არაცნობიერია. როცა პროეცირებული სურათ-ხატი არაცნობიერ შინაარსს ენაცვლება, მაშინ იგი ეთიშება ცნობიერ აზროვნებას და მასზე ვეღარ ახდენს გავლენას; და რადგან იგი ცნობიერის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობას აღარ იღებს, ამიტომ საკუთარ ცხოვრებასაც კარგავს. გარდა ამისა, იგი უცვლელად ინარჩუნებს თავდაპირველ ფორმას, რადგან არაცნობიერში, საერთოდ, ცვლილებები არ ხდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი რეგრესს განიცდის და უფრო დაბალ, არქაულ საფეხურზე ეჭვება. ქრისტიანი, რომელსაც წმინდა ხატების სწამს, შესაძლოა, სულის სიღრმეში განუვითარებელი და სტატიკური იყოს, რადგან ღმერთს მთლიანად „გარეთ“ განიცდის და არა სულის სიღრმეში. ყველა მისი მოტივი, იდეები, რითაც ხელმძღვანელობს და იმპულსები იბადება არა ქრისტიანული სფეროდან, არამედ წარმართული, არქაული, განუვითარებელი ფსიქედან და არაცნობიერი შინაარსიდან. ჩემი მოსაზრების ჭეშმარიტება მტკიცდება არა ერთი, არამედ მრავალთა – მთელი ერის – ცხოვრების მაგალითზე. ჩვენი სამყაროს გრანდიოზული მოვლენები, ადამიანთა მიერ დაგეგმილი და განხორციელებული, შთაგონებულია არა ქრისტიანული, არამედ შეუნილბავი, შეულამაზებელი წარმართული სულისკვეთებით. ამ მოვლენებს არქაული ფსიქიური სტრუქტურა წარმოშობს, რო-

⁵ ამიტომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია, რომ ღმერთი „სრულიად სხვაგვარი“ იყოს, რადგან „სრულიად სხვაგვარი“ ვერასდროს იქცეოდა სულის უღრმეს საიდუმლოებად, რასაც ღმერთი წარმოადგენს. ფსიქოლოგიურად სწორია მხოლოდ ღმერთის ხატების შესახებ ანტინომიური გამონათქვაშები და პარადოქსები.